ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725174001
თარიღი:23/06/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი N-08

დ. ლენტეხი 19 ივნისი 2025წ.

მიმდინარე წლის 19 ივნისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მორიგ სხდომას ესწრება საკრებულოს 15 (თხუთმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრება 6(ექვსი) წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, გაზეთ ,,სვანეთის“ რედაქტორის მოადგილე ცოტნე მუსელიანი და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2. **თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკის შპს ,,კახურასთვის“ სარგებლობაში ქირავნობის წესით გადაცემაზე.**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

   დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

   დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

   ღია კენჭისყრის შედეგით:

   მომხრე -15

   წინააღმდეგი -0

   დაადგინეს: დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის N-332 განკარგულებით სპეციალური ტრანსფერის სახით ლენტეხის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 500000 (ხუთასი ათასი) ლარი, სპეცტრანსფერის მთლიანი ჯამი შეადგენს 1500000(ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარს, აქედან გამოქვითვარე ადგილობრივი შემოსავლები შემცირდა 500000(ხუთასი ათასი) ლარით და შეადგენს 712 900 (შვიდასთორმეტი ათას ცხრაასი ლარს). აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით საჭიროა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მოქმხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში.

2.მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,, თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკა ქირავნობის წესით გადასცეს სარგებლობაში შპს ,,კახურას“.

მოქმხსენებელს შეკითხვა დაუსვა მევლუდ ლიპარტელიანმა ქირავნობის ფასზე.

მოქმხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების პირობების თანახმად გადასახდელი ქირა იქნება ერთ სამუშაო საათში 40 ლარი, ტექნიკა აღნიშნულ შ.პ.ს-ს გადაეცემა სამი თვის ვადით.

შეკითხვა დასვა გამზა ლიპარტელიანმა - პასუხისმგებელი ვინ არის ტექნიკაზე?

მოქმხსენებელმა განმარტა, რომ პასუხისმგებელია დამქირავებელი.

საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი დააფიქსირა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა - იმ დღეებში , როცა შ.პ.ს არ მუშაობს თავის დაზღვევის მიზნით დავუწესოთ ფიქსირებული გადასახადი. თავისი აზრი გამოთქვა სხდომისთავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა, რომ აბსოლიტურად ეთანხმება დავით პირველს და გათვალისწინებული იქნას ეს პირობა ხელსეკრულებაში.

თავისის აზრი დააფიქსირა სოსო ავალიანმა - მოქალაქეების შემთხვევაში ნაკლები უნდა იყოს ერთი საათის ღირებულება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მოქმხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა მერს წინადადებაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკა ქირავნობის წესით სარგებლობაში გადასცეს შპს ,,კახურას“.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 13 საათსა და 20 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი